წუთი

ჟამთა ცეცხლით განწმენდილი, ფრთა–სუბუქი, ფრთა–სათუთი,
მოელვარე ცის კიდურში გამიტაცებს ხოლმე წუთი.
მავიწყდება ამ დროს ღმერთი, წუთს ვუმონებ გულის ძგერას,
რადგან ღმერთი ჩემშივეა და მევე ვქმნი ბედისწერას.
წუთი მაძლევს აღმაფრენას, მაგრამ წუთი თუ გამწირავს, –
დამიმონებს, გულს გაგმირავს, ძირს ჩამითრევს და დამძირავს,
მიწიდანაც ტყვე–ყოფილი თვალს ვადევნებ ვარსკვლავთ რბენას
და მაშინაც წუთში ვეძებ საოცნებო აღმაფრენას.
და როდესაც მე ბედს ველი გრიგალივით მოგუგუნეს, –
ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს!